ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N25

2018 წლის 21 თებერვალი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 28,15 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.42.04.385) და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის თემის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაზე მდებარე 17,13 კვ.მ (ს/კ N20.46.03.032) არასაცხოვრებელი ფართი შპს „მობიტელს“ საბაზო სადგურის განთავსების მიზნით.

2. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 28,15 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 3200 (სამი ათას ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის თემის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაზე მდებარე 17,13 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი